ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31222422**
თარიღი: **30/08/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 8

ქ. ლანჩხუთი 25.08.2022 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: **გიორგი გოგუაძე.**

ფრაქციის მდივანი: **ირმა მგელაძე.**

ფრაქციის წევრი: **გივი ცინცაძე.**

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: **ომარ ჯანაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: **ნინო ზენაიშვილი,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი.**

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი გოგუაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-II კვარტლის

შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე/

7. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე/

8. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი გოგუაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 3; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე

წლის 5 აგვისტოს N1398 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დამატებით გამოეყო 2050000 ლარი, რომელიც უნდა მიიმართოს შემდეგ პროექტებზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ შუხუთიდან გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაციაზე 1300000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 68422 ლარი, სულ მიმდინარე წელს პროექტზე მიიმართება 1368422 ლარი; ქ.ლანჩხუთში გორგასლის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის საძირკვლის გამაგრებაზე 254000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 400160 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 654160 ლარი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის, გვიმბალაურის, ნინოშვილის, მამათის, აცანის, შუხუთის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ლესის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 496000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 239465 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 735465 ლარი. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაფინანსებულ პროექტებზე ტენდერის შედეგების გათვალისწინებით გზების რეაბილიტაციის (ხიდი აკეთი) დაფინანსება შემცირდეს 3399 ლარით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდეს 2681 ლარით. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა შემცირდეს 16455 ლარით. სუფსის სამუსიკო სკოლის სახურავის რეაბილიტაციაზე მიიმართოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 13672 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15058 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 28730 ლარი. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განმარტების გათვალისწინებით ახალგაზრდული პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 2700 ლარით; ხოლო კულტურის ხელშეწყობის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლის 1210 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის სხვა ხარჯების მუხლი 1210 ლარით. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მომართვის საფუძველზე გაიზარდოს დაფინანსება 15000 ლარით. მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა შენახვის და ექსპლუატაციის ხარჯების (საწვავ-საპოხი მასალები ფასების ზრდის გათვალისწინებით) დაფინანსება გაიზარდოს 78400 ლარით, მათ შორის: საკრებულოს დაფინანსება 35000 ლარით, მერიის დაფინანსება 40000 ლარით, სამხედრო სამსახურის დაფინანსება 3400 ლარით. გარე განათების ქსელის გაფართოების გათვალისწინებით გაიზარდოს მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის დაფინანსება 100000 ლარით. ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზაციის დონის გათვალისწინებით არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მისაღები შემოსავლის პროგნოზი შემცირდეს 36395 ლარით. არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლის 36395 ლარით შემცირება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ პროექტების თანადაფინანსებაზე მიმართული თანხები და მიმდინარე ხარჯების ზრდის დაბალანსება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლების 770600 ლარით და ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლების 185000 ლარით ზრდის ხარჯზე.

აღნიშნული ღონისძიებების ასახვა განხორციელდეს ბიუჯეტის, როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში.

როლანდ ლაშხიამ ასევე აღნიშნა, რომ სტიქიისთვის გამოყოფილია 100000 ლარი, სუფსაში კულტურული ღონისძიებისთვის 4600 ლარი, ახალგაზრდული პროგრამისთვის 3000 ლარი და ახალგაზრდების განათლების პროგრამისთვის 500 ლარი. ბიუჯეტი ამჟამად არის 28022740 ლარი, იზრდება 3005600 ლარით და გახდება 31028340 ლარი.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 3; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-II კვარტლის შესრულების ანგარიშის შესახებ ისაუბრა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ და განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის 01 ივლისის მდგომარეობით მობილიზებულია შემოსავლები 9750700 ლარი, აქედან გადასახადების სახით 5140300 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ჩამორიცხულია 3199600 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 1288400 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) 140000 ლარი. შესაბამისი პერიოდისათვის გაწეულია 7808500 ლარის ხარჯი, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3050700 ლარი, (გაწეული ხარჯების 39,1 %-ი) საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 3154200 ლარი, (გაწეული ხარჯების 40,4%-ი) მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდის და ურნების შეძენის მიზნით აღებული სესხი დაიფარა 44200 ლარით მათ შორის, პროცენტი 15200 ლარი. სუბსიდირებით შ.პ.ს-ების დაფინანსებაზე მიიმართა 500800 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით გახარჯულია 727100 ლარი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 89900 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან 637200 ლარი. მან ასევე აღნიშნა, რომ 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 5312,3ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 2282,8 ათას ლარს , საიდანაც 1935,0 ათასი ლარი მიიმართა 2022 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2022 წლის ბიუჯეტში 3094.5 ათასი ლარი. 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 12151,1 ათასი ლარი, შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16392,6 ათ ლარი) 74,1 %-ია. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 3899,5 ათასი ლარით, ხოლო 2020 წლის -4,403,6 ათასი ლარით.

2022 წლის II კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 2056.9 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმური მაჩვენებლის (2168.6 ათ ლარი) 94,9 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები : 1.

მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -574.1 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 1362.3 ათ ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-94.4 ათ ლარი 2. საერთო დანიშნულების ხარჯი : სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 35.3 ათ ლარი ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 3739.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 60.4 პროცენტია.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის ივლისის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1571888,82ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1571888,82ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1168140,452 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 58,6 %-ს; დღგ-მ შეადგინა 850230,96 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 60,2 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 9399,96 ლარი, მათ შორის ფიზიკური პირებიდან - 4515,71 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 31465,59 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 178439,122 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 16575,2 ლარი; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 5165,27 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 2757,7 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 145747,022 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის ივლისის თვეში შემოსულობებმა 2740029,272 ლარი შეადგინა, ხოლო განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 15027208,7 ლარი. ივლისის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 3653230 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1336763 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 3667514 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 488566 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 5874379 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების მაჩვენებელი დადგენილი ნორმის შესაბამისობაშია, მხოლოდ ჯარიმები არის საეჭვო.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, თუ რამდენი ლარია ბიუჯეტში ჯარიმებიდან შემოსული, რაზეც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ სულ დღეის მდგომარეობით შემოსულია დაახლოებით 1300000 ლარი, ხოლო ივლისის თვეში ჯარიმებიდან შემოსულია 145747 ლარი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ომარ ჯანაძემ და განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის ივლისის თვეში განცხადებით მიმართა ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარის” დირექტორმა ვერა წულაძემ. განმცხადებელმა აღნიშნა ორგანიზაციის ამოცანა და მიზანი კერძოდ, 1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების ადვოკატირება, ინტერესების დაცვა და საკანონმდებლო ინიციირება. 2. შშმ ბავშვთა უფლებების დაცვა. 3. საზოგადოების ცნობიერების და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და განვითარება, საზოგადოებაში სწორი, ღირებულებებზე დაფუძნებული

იდეალების, დამკვიდრების ხელშეწყობა. 4. ორგანიზაციის სერვისებით უზრუნველყოფა: შშმ ბავშვთა ფიზიკური, სულიერი, გონებრივი და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. 5. სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება და განათლება ადამიანის უფლებების სფეროში. 6. კვლევების, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება. 7. საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების განხორციელება. 8. შშმ მშობლების, მეურვეებისა და ოჯახის სხვა წევრების უფლებების დაცვა, მხარდამჭერი პროგრამების ინიციირება და განხორციელება. განმცხადებელმა ითხოვა ორგანიზაციის ფუნქციებისა და წესდებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამუშაო სივრცის გამოყოფა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე 27.06.52.141 საკადასტრო კოდზე არსებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე ფართი, ჯამში - 241,75 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარს“, რომ დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ ეთანხმება ა(ა)იპ „ოდა-ქეარისთვის“ შეთავაზებული ფართის გადაცემას, რადგანაც თვლის, რომ სირცხვილია აღნიშნული შენობის გადაცემა შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პირთათვის და სთავაზობს მერიას ქალაქის ტერიტორიაზე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებები დათვალიერებულ იქნას ფრაქციის მდივანთან, ირმა მგელაძესთან ერთად და შეთავაზებულ იქნას არასამთავრობო ორგანიზაციას.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნის გათვალისწინებით.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 0; წინააღმდეგი 3.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ისაუბრა ომარ ჯანაძემ და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა კონსტანტინე გუმბარიძემ, რომლითაც მოთხოვნილია სუფსის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.15.52.294) პირველ სართულზე მდებარე თავისუფალი N 1 ოთახის 25,7 კვ.მ. ფართით პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემა,

კომერციული მიზნით. ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა მოქალაქე კონსტანტინე გუმბარიძეს გადაეცეს სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით,სუფსის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე თავისუფალი N 1 ოთახი 25,7 კვ.მ. კომერციული მიზნების განსახორციელებლად 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ფასის ოდენობა განისაზღვროს ფართის მთლიანი ღირებულების - 7080.35 ლარი -ის 5% ოდენობით -354 ლარი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საკითხი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ომარ ჯანაძემ და განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში დანიშნულმა აუქციონატორმა, 27.06.52.438, 27.09.50.282, 27.02.41.163 და 27.02.41.004 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებაზე ორჯერ უზრუნველყო ელექტრონული აუქციონის მოწყობა - როგორც საწყისი საპრივატიზებო საფასურით, ასევე განმეორებით საწყისი ფასის 49%-ის შემცირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი პრივატიზება არ განხორციელდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი და ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 67%-ით შემცირდეს.

გიორგი გოგუაძის მოსაზრებით აუქციონი, რომელიც გაიმართა ორჯერ და წარმოდგენილი ობიექტებიდან არც ერთი არ გაიყიდა, არის ეჭვის მომგვრელი, რადგანაც შეიძლება ვინმეს ჰქონდეს ინტერესი და ქონება გაიყიდოს მაშინ, როცა ფასი დაიწევა ქვემოთ. ამიტომ, მისი აზრით, უმჯობესი იქნება, სოფელ აცანის სკოლას, რომელსაც არა აქვს სპორტული დარბაზი და რადგანაც ზემოაღნიშნული ქონება არის მუნიციპალიტეტის საკუთრება, გაკეთდეს პროექტი და სოფლისთვის აღნიშნულ ტერიტორიაზე აშენდეს სპორტული დარბაზი.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის არის ცნობილი, სოფელ ჩიბათში შემოდის სამშენებლო კომპანია „ორბი“, რომელიც 10000000 ლარის ინვესტიციას დებს. ის მოხარული იქნება, თუ აღნიშნული კომპანია ააშენებს სასტუმროს, მითუმეტეს, რაიონში არ არის არც ერთი სასტუმრო. მისი აზრით, ასეთ მყიდველს დაბალ ფასში უნდა გადაეცეს მოთხოვნილი ფართი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიშის მოსმენის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ზენაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, ორგანიზაციის ფუნქციონირების საჭიროებიდან გამომდინარე მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, მოცულობების, სავარაუდო ღირებულების/გამარტივებული შესყიდვის ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობა, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის საბიუჯეტო რესურსების რაციონალურად ხარჯვას.

2. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სათანადოდ დამტკიცებული წესის შესაბამისად ატვირთვას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ანგარიშგების რეგლამენტაციის გამჭვირვალობასა და მონიტორინგს.

3. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს, ერთის მხრივ ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე დასადებ ხელშეკრულებებში ისეთი ინფორმაციის ასახვას, რაც სრულ შესაბამისობაში იქნება ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ მონაცემებთან და მეორეს მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ პირობებთან მიმართებაში ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ქმედებების სრულ შესაბამისობას.

4. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენების მაკორესპოდენტო ბუღალტრულ ანგარიშებზე (ბუღალტრულ გატარებებში) შესაბამის ასახვას, მუდმივ (აქტივების, ვალდებულებების და წმინდა აქტივების/კაპიტალის) და დროებით (შემოსავლების და ხარჯების) ანგარიშებზე სათანადო ჩანაწერების გაკეთებას შესაბამის ფულად გამოსახულებაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების აღრიცხვის სისწორეს.

5. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს საინვენტარიზაციო კომისიის წევრების მიერ ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის საჭირო ყველა პროცედურის ჯეროვნად განხორციელებას, რაც თავის მხრივ გამორიცხავს საინვენტარიზაციო აღწერებში არასწორი მონაცემების შეტანას.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, წლის განმავლობაში აუდიტის სამსახური რამდენი ა(ა)იპ-ის შემოწმებას და რეკომენდაციის მიცემას ახერხებს, რაზეც ნინო ზენაიშვილმა უპასუხა, რომ 4-5 ა(ა)იპ-ის შემოწმებას ახერხებს სამსახური ძირფესვიანად.

გიორგი გოგუაძე ასევე დაინტერესდა 2019 წლის სახელმწიფო აუდიტის დასკვნასთან დაკავშირებით, სადაც ჩამოთვლილია დაახლოებით 15 დარღვევა, რაც ადგილობრივ მუნიციპალიტეტს აქვს გაკეთებული. მას აინტერესებს, ამ დასკვნის შემდეგ რა არის შიდა აუდიტის ფუნქცია, რაზეც ნინო ზენაიშვილმა გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტს არა აქვს ისეთი კრიტიკული დასკვნა გაკეთებული, რაც ადგილობრივ აუდიტს. მან ასევე აღნიშნა, რომ მათ კომპეტენციაში შედის რეკომენდაციები და თუ არ არის გამოსწორებული, შემდეგ ისევ წერენ რეკომენდაციას მონიტორინგის ფარგლებში.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, თუ რამდენი თანამშრომელია სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში, რაზეც ნინო ზენაიშვილმა უპასუხა, რომ სულ არის 71 თანამშრომელი და 9 ადამიანი არის ხელშეკრულებით დასაქმებული.

სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის მდივანი ირმა მგელაძე დაინტერესდა, ჰყავს თუ არა მუნიციპალიტეტის მერს სახელმწიფო ავტომობილი, რაზეც ომარ ჯანაძემ უპასუხა, რომ მერს ჰყავს სახელმწიფო ავტომობილი, რომელიც ამჟამად არის რემონტში. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ფინანსებით შეძენილია მხოლოდ ერთი ავტომობილი, რომლითაც სარგებლობს საკრებულოს თავმჯდომარე, დანარჩენი ყველა გადმოცემულია სხვადასხვა სამინისტროებიდან.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გოგუაძემ დასვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ სოფელ ჩოლობარგში სამკითხველო დარბაზი გადაეცა თუ არა ქონების სამსახურს, რაზეც ომარ ჯანაძემ უპასუხა, რომ სამკითხველო დარბაზი უკვე გადაეცა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში.

გიორგი გოგუაძე ასევე დაინტერესდა, ქალაქის ცენტრში სკვერის კეთილმოწყობა ფინანსდება თუ არა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რაზეც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ ფასადების, სკვერების კეთილმოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ ფინანსდება.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, სკვერში არსებული კვების ობიექტი უნდა გაიცეს თუ არა იჯარით, რაზეც ომარ ჯანაძემ გააკეთა განმარტება, რომ აღნიშნული კვების ობიექტი გაიცემა იჯარით, რაც მომგებიანი იქნება რაიონისთვის.

ირმა მგელაძის აზრით, ქალაქის ცენტრში არსებული სკვერი არ არის ბავშვებზე მორგებული და არის მხოლოდ ვიზუალურად ლამაზი.

გიორგი გოგუაძე მოხარულია, რომ ქალაქში აშენდა ახალი, 3 სართულიანი შენობა, რომელიც ლანჩხუთისთვის არის ძალიან კარგი.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ საყანე ფართობებამდე მისასვლელი გზის არქონის გამო, მოსახლეობა შემოვლითი გზით (კერძოდ, ჯაპანა-აბაშა) 40 კილომეტრს გადის

ზედმეტად სიმინდის მოსაწვევად, სწორედ ამიტომ დაახლოებით 3000 ჰა მიწის ფართობიდან, მხოლოდ 2-3% ათვისებული. მისი აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტი დღეის მდგომარეობით იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დაფინანსდეს აღნიშნული გზის კეთილმოწყობა.

ირმა მგელაძემ აღნიშნა, რომ ელექტრო ეტლით მოსარგებლე მოქალაქეს, კობა ჩხაიძეს ძალიან უჭირს გადაადგილება ქუჩაში. ის სთხოვს მუნიციპალიტეტის მერიას, რომ უახლოეს მომავალში გამონახონ შესაძლებლობა და მოახდინონ ქალაქ ლანჩხუთში, ხომერიკის ქუჩის მოასფალტება.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი გოგუაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.08.2022 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახაბერ ასკურავა	–	მივიღეთ ცნობა
2	გიორგი გოგუაძე	13:50	
3	ირმა მგელაძე	13:55	
4	გივი ცინცაძე	13:57	